ჯეოსილქროუდ
GEOSILKROAD

N35

22 ივნისი 2020 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ჯეოსილქროუდმა“ (ს/კ 416336405) დაასრულა ქალაქ თბილისში, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) N1 ავტობაზის ტერიტორიაზე (მისამართი: ქ.თბილისი, ჟორესის ქ. N7) საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, აღნიშნული პროექტი მოიცავს, ავტობუსების ბაზის რეკონსტრუქციას (შემდგომში „ავტობაზა“), მათ შორის დიზელგასამართი სადგურისა და წყლის სალექარის მშენებლობას, რომლებიც საჭიროებენ სკრინინგის პროცედურის განხორციელებას.

აღნიშნული ავტობაზა, პროექტის შესაბამისად მოემსახურება დაახლოებით 300 ავტობუსს, მას აქვს ოთხი ძირითადი შესასვლელ/გამოსასვლელი, სადაც მოწმდება შესაბამისი პერსონალის მიერ ავტობუსების ტექნიკური გამართულობა და ერთი სათადარიგო გამოსასვლელი. ასევე განლაგებული არის დიზელ გასამართი სადგური და სამრეცხაო.

დიზელგასამართი სადგური საშუალოდ 3-4 საათის განმავლობაში შეძლებს, რომ მოემსახუროს 290-ზე მეტ ავტობუსს, მასში განთავსებულია საწვავისა და ზეთის შესანახი რეზერვუარები და ამავდროულად გათვალისწინებული არის სპეციალური მექანიზმი, რომელიც რეზერვუარებს გადავსებისგან იცავს.

ავტობუსების ბაზაზე დიზელგასამართ სადგურთან ერთად განთავსებული არის ავტო სამრეცხაო, რომელშიც მოწყობილია სივრცე ტექნიკური პერსონალისათვის და ასევე სივრცე რეცხვის შედეგად დაღვრილი წყლის მეორადად გამოსაყენებლად საჭირო ტექნიკის განლაგებისთვის და სივრცეები რეცხვის სისტემებისათვის მათ შორის ქიმწმენდის და ამ სისტემების მართვის მეთვალყურეობის ჯიხურები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 9280
22 06 2020
2/02
02

gsr.ge | info@gsr.ge | +995 322 477 344 | +995 595 655 655
ს/კ: 416336405 | ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა 12 | ბაჩანა ბრეგვაძის ქუჩა N2
ID: 416336405 | N2 Nikoloz baratashvili street, N12 Bachana bregvadze street, Tbilisi

ავტობაზის ტერიტორიაზე ასევე ეწყობა ჩამდინარე სანიაღვრე წყლების და რეცხვის შედეგად მიღებული წყლის გამწმენდი ნაგებობა, ასევე სამრეცხაოდან გამდინარე წყლის სალექარები.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობები ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას კერძოდ:

- პუნქტი 10.6 „ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია“.
- პუნქტი 3.5 „100 მ3 ან მეტი მოცულობის წიაღისეული, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის მიწისზედა ან მიწისქვეშა საწვავის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია“.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე გთხოვთ განახორციელოთ სკრინინგის პროცედურა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ202886788) N1 ავტობაზის რეკონსტრუქციის პროექტთან დაკავშირებით, სკრინინგს დაქვემდებარებულ ობიექტებთან მიმართებით.

დანართი: CD 1 ცალი

1. დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ანგარიში;
2. სიტუაციური გეგმა
3. გენგეგმა
4. საწვავგასამართის ტექნოლოგიური მოწყობა
5. სამრეცხაოს მოწყობის ტექნოლოგიური ნაწილი
6. სამრეცხაოს დაბინძურებული წყლის სალექარები
7. წყალმომარაგება და კანალიზაცია - გარე ქსელები
8. ქალაქთმშენებლობითი კვლევა
9. მშენებლობის პროცესის ორგანიზაცია

პატივისცემით,
შპს „ჯეოსილქროუდის“
კომერციული დირექტორი
დავით ცირდავა

ჯეოსილქროუდ
მუდმივი განვითარების გზა
GeoSilkRoad
way of constant development
GEO SILKROAD LLC
416336405